GAUზიარე 33 ემოცია

დედა ენის დღისადმი მიძღვნილი ფესტივალი 2019

14 აპრილს, 13:00 საათზე მწერალთა სახლში გაიხსნება დედა ენის დღისადმი მიძღვნილი ერთდღიანი ფესტივალი **"GAUზიარე 33 ემოცია"**. ფესტივალს ორგანიზებას უწევს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი პირველად იღებს მონაწილეობას აღნიშნულ ფესტივალში და საზოგადოებას წარუდგენს რამდენიმე კომპონენტიან აქტივობას: დამთვალიერებელს საშუალება ექნება იხილოს ცეტნრში დაცული სხვადსხვა საზოგადო მოღვაწის საარქივო დოკუმენტების საშუელაბით შექმნილი შრიფტები. მსურველები თვითონ დაწერენ ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის კალიგრაფიით სასურველ ტექსტს და ამობეჭდილი სახით სამახსოვროდ წაიღებენ.

ფესტივალში ასევე ჩართულები არიან ქართველი კალიგრაფები, რომლებიც ღონისძიების მსვლელობისას ანბანის სამივე სახეობის გამოყენებით შექმნიან ორიგინალურ ხელნაწერებს.

გარდა ამისა ფესტივალის ფარგლებში, გაიმართება ქართველი საზოგადო მოღვაწის, ნიკო ნიკოლაძის, ახლადშექმნილი შრიფტის პრეზენტაცია. პროექტი განხორციელდა საკონსულტაციო კომპანია „ჯეპრას" კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და კალიგრაფის, დავით მაისურაძის, თანამშრომლობის ფარგლებში.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი მადლობას მოახსენებს საკონსულტაციო კომპანია „ჯეპრას" ინიციატივისთვის და დიზაინერ-კალიგრაფს, დავით მაისურაძეს, რომელმაც უზრუნველყო ხელნაწერების შესწავლა და ფონტის დიზაინი. ასევე ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტს. ნიკო ნიკოლაძის ფონტი აიტვირთება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე (www.manuscript.ge) და ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი მსურველისთვის.

პროგრამა:

- ანსამბლი რუსთავი - საქართველოს ჰიმნი;
- საჯარო ლექციები ქართული ენის შესახებ: პოეტი რატი ამაღლობელი; საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი, პოეტი გიორგი კეკელიძე ;
- თემატური თამაშები სიმბოლური პრიზებით;
- ანთოლოგიის „ქართული ანბანი - 33 ემოცია" პრეზენტაცია;
- წიგნებისა და ანბანთან დაკავშირებული ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა;
- ბლოგების კონკურსში გამარჯვებული სკოლის მოსწავლეების დაჯილდოება;
- GAU ბენდი და ფურშეტი;
- დათო ევგენიძის პერფორმანსი.